ზედა რუს სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

25 იანვარი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ შიდა ქართლში, ზედა რუს სარწყავი სისტემის რეაბილიტაციას ახორციელებს.

ქარელის მუნიციპალიტეტში მაგისტრალური არხის რეაბილიტაცია მიმდინარეობს, რაც, ჯამში, 52 კმ სიგრძის მაგისტრალური და წყალგამანაწილებელი არხების აღდგენასა და მონოლითური რკინაბეტონით მოპირკეთებას, 7 კმ-მდე დახურული ქსელის მოწყობასა და სხვადასხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობის მონტაჟს ითვალისწინებს.

24 მლნ ლარის ღირებულების პროექტი მსოფლიო ბანკის (WB) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად, სოფელ ქვემო ნიქოზის, საქაშეთის, საქაშეთის დევნილთა დასახლების, ფხვენისის, შინდისის, ვარიანის, სასირეთის არაშენდას, რუისის, ურბნისის, ბრეთის მეურნეობის ნაწილის 2500 ჰექტარზე მეტ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდება.

ახალი სადახლოს სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

10 თებერვალი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქვემო ქართლში, ახალი სადახლოს სარწყავი სისტემის მაგისტრალურ არხზე სარეაბილიტაციო სამუშაოებს ახორციელებს.

ჩატარებული სამუშაოები სარწყავი სისტემის გამართულად ფუნქციონირებას უზრუნველყოფს;
შედეგად, მარნეულის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო ფართობები შეფერხების გარეშე მოირწყვება.

პროექტი, რომლის ღირებულებაც 500 ათასი ლარია, 2022 წლის სექტემბერში დაიწყო და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დასრულდება.

მაგისტრალურ არხზე მოწყობილი წყალგამტარის რეაბილიტაცია ავარიული წყალსაგდების, ჩამქრობი ჭის, მილსადენისა და გაბიონის კედლების მოწყობას ითვალისწინებს; განხორციელდება ფერდზე კოროზიის საწინააღმდეგოდ დამუშავების სამუშაოები.

შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი თენგიზ ნასარიძე, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, საირიგაციო სისტემის სარეაბილიტაციო და სამშენებლო პროცესს გაეცნო.

დღეის მდგომარეობით, ქვეყნის მასშტაბით, 60 მლნ ლარის ღირებულების სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტები მიმდინარეობს, რომელთა დასრულების შემდეგ, დამატებით, 7 540 ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი გახდება წყალუზრუნველყოფილი, სარწყავი წყლის მიწოდება 900 ჰექტარზე გაუმჯობესდება, ხოლო დრენირებული მიწის ფართობი 900 ჰექტარით გაიზრდება.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში სადრენაჟე არხები წესრიგდება

24 თებერვალი

შპს „საქართველოს მელიორაცია“, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, ჩოლოქის დამშრობი მასივის მოწესრიგების სამუშაოებს ატარებს.

ხე-ბუჩქნარისა და ნატანი მასისგან 3 კილომეტრამდე სიგრძის კოლექტორები და შემკრები არხები იწმინდება.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად, არხის გამტარუნარიანობა გაიზრდება და მუნიციპალიტეტში, 20 ჰექტარამდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურება აღდგება, რაც სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების გაზრდას შეუწყობს ხელს.

საქართველოს მელიორაციისა და აზერბაიჯანელი კოლეგების თანამშრომლობა

10 მარტი

შპს „საქართველოს მელიორაციასა“ და „აზერბაიჯანის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის ღია სააქციო საზოგადოებას“ შორის თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა.

ხელშეკრულებას ხელი „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა, თენგიზ ნასარიძემ და „აზერბაიჯანის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის ღია სააქციო საზოგადოების“ თავმჯდომარის მოადგილემ, ზაქირ გულიევმა მოაწერეს.

თანამშრომლობის ფარგლებში, გათვალისწინებულია ტრანსსასაზღვრო მდინარე მტკვარზე აშენებული გარდაბნის სარწყავი სისტემის და ჯანდარის (ჯანდარ-გიოლის) წყალსაცავის ექსპლუატაციისა და სარგებლობის საკითხები.

საქართველოს მელიორაციაში გამართულ შეხვედრაზე კოლეგებმა არსებულ გამოცდილებაზე, გამოწვევებსა და სამომავლო თანამშრომლობის საკითხებზე იმსჯელეს.

თენგიზ ნასარიძემ სტუმრებს კომპანიის სერვისების, სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტებისა და მიღწეული შედეგების თაობაზე მიაწოდა ინფორმაცია.

სამუშაო შეხვედრა მელიორაციის საკითხებთან დაკავშირებით

12 მარტი

კახეთში, მიმდინარე წელს, 60 მლნ ლარზე მეტი ღირებულების სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტები დაიწყება.

მიმდინარე და დაგეგმილი სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტები და საექსპლუატაციო ღონისძიებები განიხილეს საქართველოს მელიორაციის გენერალურმა დირექტორმა, თენგიზ ნასარიძემ და კახეთის სახელმწიფო რწმუნებულმა, გიორგი ალადაშვილმა რეგიონის მუნიციპალიტეტების მერებთან შეხვედრაზე.

თენგიზ ნასარიძემ ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელ პირებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა იმ პროექტებზე, რომლის განხორციელებაც მუნიციპალიტეტებში უახლოეს პერიოდში დაიწყება.

პროექტების ფარგლებში, რეაბილიტაცია ჩაუტარდება სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხების წყალგამანაწილებლებს და ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს. სამუშაოები იგეგმება ახმეტის, დედოფლისწყაროს, საგარეჯოს, სიღნაღის, ლაგოდეხის, გურჯაანისა და თელავის მუნიციპალიტეტებში.

საქართველოს მელიორაციამ, 2012 წლიდან დღემდე, კახეთის რეგიონში, 59,9 მლნ ლარის ღირებულების 96 სარეაბილიტაციო პროექტი განახორციელა. შედეგად, რეგულარულად, 18 000 ჰექტარამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი ირწყვება, ხოლო წყლის მიწოდება 13 300 ჰექტარზეა გაუმჯობესებული.

150 მლნ დოლარის ღირებულების პროექტი (GRAIL) წელს დაიწყება

15 მარტი

სახელმწიფოსა და მსოფლიო ბანკის თანამონაწილეობით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო მასშტაბურ, 150 მლნ დოლარის ღირებულების პროექტს (GRAIL) იწყებს.

„საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის ირიგაციის და მიწის პროექტის" (GRAIL) ფარგლებში, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-მოდერნიზაცია განხორციელდება; შედეგად, საპროექტო ტერიტორიებზე გაუმჯობესდება სარწყავი და სადრენაჟე მომსახურება და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება; წყალუზრუნველყოფილი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის რაოდენობა, დამატებით, 27 ათას ჰექტარამდე გაიზრდება; ეროვნულ დონეზე გაძლიერდება ირიგაციისა და მიწის მართვის ინსტიტუციური შესაძლებლობები.

პროექტის მიზანია, სრულად შეცვალოს და თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით მოდერნიზება გაუკეთოს სამელიორაციო სისტემების მართვას, რაც თავის მხრივ, შეამცირებს როგორც საექსპლუატაციო, ისე ბუნებრივი რესურსის ხარჯს. მართვის თანამედროვე სისტემა გულისხმობს მთელი რიგი ტექნოლოგიური და პროგრამული ნოვაციების დანერგვას.

პროექტის განსახორციელებლად საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები დასკვნით ეტაპზეა. მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები ინტენსიურ რეჟიმში მართავენ შეხვედრებს შესაბამის სამთავრობო უწყებებთან.

როგორც საქართველოს მელიორაციის გენერალურმა დირექტორმა, თენგიზ ნასარიძემ აღნიშნა, „საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის ირიგაციის და მიწის პროექტი" (GRAIL), რომლის განხორციელებაც უახლოეს მომავალში დაიწყება და 6 წელს გასტანს, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარებას.

ქვემო ქართლში დაგეგმილი სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტები

20 მარტი

2023 წელს, ქვემო ქართლის რეგიონში 20 მლნ ლარამდე ღირებულების სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტები დაიწყება.

შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა, თენგიზ ნასარიძემ და ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულმა, გიორგი დოხტურიშვილმა რეგიონში სამელიორაციო სისტემებზე არსებული მდგომარეობა სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს; შეფასდა მუნიციპალიტეტების მიხედვით განხორციელებული და მიმდინარე სამუშაოები. საუბარი შეეხო პროექტებს, რომლის განხორციელებასაც საქართველოს მელიორაცია მიმდინარე წელს დაიწყებს.

რეგიონში 9000 ჰექტარამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდების გაუმჯობესების მიზნით, 2023 წელს დაგეგმილია 20 მლნ ლარამდე ღირებულების სარეაბილიტაციო პროექტების დაწყება.

დღეისათვის, ქვემო ქართლის რეგიონში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 15,7 მლნ ლარის ღირებულების 9 სარეაბილიტაციო პროექტი მიმდინარეობს. შედეგად, დამატებით, 2500 ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი რეგულარულად მოირწყვება, სარწყავი წყლის მიწოდება 900 ჰექტარზე გაუმჯობესდება.

შეხვედრა ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციაში გაიმართა, რომელსაც საქართველოს მელიორაციის ხელმძღვანელი პირები და ქვემო ქართლის რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების მერები ესწრებოდნენ.

22 მარტი წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღეა

22 მარტი

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღის აღნიშვნის ფარგლებში, შპს „საქართველოს მელიორაციის“ ქვემო ქართლის რეგიონალური სამსახურის წარმომადგენლები და დაბა სიონის საჯარო სკოლის მოსწავლეები სიონის წყალსაცავზე იმყოფებოდნენ.

აღნიშნული წყალსაცავი ზემო და ქვემო სამგორის სარწყავი სისტემების წყალმომარაგებას უზრუნველყოფს. რეგიონალური სამსახურის წარმომადგენლებმა მოსწავლეებს წყალსაცავზე არსებული ჰიდროტექნიკური ნაგებობა დაათვალიერებინეს, გააცნეს წყალსაცავის ისტორია და მუშაობის სპეციფიკა.

სკოლის მოსწავლეებმა ინფორმაცია მიიღეს თანამედროვე მორწყვის მეთოდებზე, რაც წყლის რესურსის რაციონალურ ხარჯვას უწყობს ხელს და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წყლის რესურსის დასაცავად.

თენგიზ ნასარიძე წყლის დღისადმი მიძღვნილ ფორუმს დაესწრო

23 მარტი

შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა, თენგიზ ნასარიძემ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მსოფლიო წყლის დღისადმი მიძღვნილ ფორუმში მიიღო მონაწილეობა.

სიტყვით გამოსვლისას, თენგიზ ნასარიძემ საირიგაციო სექტორის წინაშე არსებულ გამოწვევებსა და სარწყავი წყლის რაციონალური გამოყენების მნიშვნელობაზე ისაუბრა. „კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება წყლის რესურსების ეფექტიან გამოყენებას. არსებული რესურსების დაზოგვის მიზნით, აუცილებელია დარგში თანამედროვე ტექნოლოგიების ინტენსიური დანერგვა, რაც გულისხმობს, როგორც მსოფლიოში უკვე კარგად აპრობირებულ წვეთოვან, ისე ახალ საირიგაციო სისტემებს და დანადგარებს, რომლებიც საშუალებას იძლევა, შემცირდეს წყლის ხარჯი“, - განაცხადა თენგიზ ნასარიძემ.

თენგიზ ნასარიძემ ქვეყანაში წყალსაცავების მშენებლობა - რეაბილიტაციის მნიშვნელობის საკითხზეც ისაუბრა და ყურადღება სექტორში ახალგაზრდა, კვალიფიციური კადრების საჭიროებასა და აუცილებლობაზე გაამახვილა.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გამართულ ფორუმში დარგობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები და მეცნიერები მონაწილეობდნენ.

22 მარტს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით, წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე აღინიშნება.

ამ დღის დაწესებისა და აღნიშვნის მიზანია, მსოფლიო საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენოს, როგორი მნიშვნელობა აქვს წყლის რესურსების მოფრთხილებას და დაცვას.

საქართველოს მელიორაციის ანგარიში აგრარულ საკითხთა კომეტეტში

29 მარტი

შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა, თენგიზ ნასარიძემ საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე კომპანიის 2022 საქმიანობის ანგარიში და 2023 წლის სამოქმედო გეგმა წარადგინა.

კომპანიის დირექტორმა უკვე განხორციელებულ და დაგეგმილ სამელიორაციო ინფრასტრუქტურულ ღონისძიებებზე, აგრარული დარგის განვითარების ხელშეწყობისთვის აღნიშნული ღონისძიებების მნიშვნელობაზე ისაუბრა და ყურადღება არსებულ გამოწვევებზე გაამახვილა.

თენგიზ ნასარიძემ წყალუზრუნველყოფილი და დრენირებული ფართობების დინამიკას გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ მიღებული შედეგები ხელშესახები და შთამბეჭდავია.

აღსანიშნავია, რომ, ბოლო 10 წლის განმავლობაში, წყალუზრუნვეყოფილი ფართობი 45 000 ჰექტარიდან 164 000 ჰექტარამდე, ხოლო დრენირებული მიწის ფართობი 14 000-დან 44 000 ჰექტარამდეა გაზრდილი.

კომპანია 2023 წელსაც აქტიურად აგრძელებს სამელიორაციო ინფასტრუქტურულ სამუშაოებს. დღეის მდგომარეობით, ქვეყნის მასშტაბით, 61,5 მლნ ლარის ღირებულების სარეაბილიტაციო პროექტები მიმდინარეობს. კომპანიის მშენებლობა-რეაბილიტაციის სამოქმედო გეგმით, წელსვე დაგეგმილია 52 პროექტის დაწყება, ჯამური ღირებულებით 100,9 მლნ ლარი.

მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების სრულად განხორციელების შედეგად, რეგულარულად, დამატებით, 14 570 სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი მოირწყვება, წყლის მიწოდება 22 865 ჰექტარზე გაუმჯობესდება, ხოლო დრენირებული მიწის ფართობი 905 ჰექტარით გაიზრდება.

აგრარულ საკითხთა კომიტეტის სხდომას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ხანიშვილი და შპს „საქართველოს მელიორაციის“ კორპორაციული და ექსპლუატაციის დირექტორები ესწრებოდნენ.